

პროექტი №25

მცირე სიმძლავრის მზის ფოტოელექტრო სისტემის დამუშავება და საპილოტო მოდელის შექმნა

პროექტის ხელმძღვანელი – გ. გოდერძიშვილი

დაფინანსება – 10000 ლარი

პროექტის ფარგლებში დამუშავებულია 25 ვატი სიმძლავრის მზის ფოტოელექტრო მობილური სისტემის კონსტრუქცია და დამზადებულია საპილოტო მოდელი. რომლის დანიშნულებაც 25 ვატამდე სიმძლავრის სხვადასხვა ელექტრო ხელსაწყოების კვება საელექტრო და სააგარაკო პირობებისათვის (როგორცაა მაგ. მთიანი, მიუვალი ადგილები, ტურისტული ჯგუფები, მონადირეთა და მეთევზეთა სადგომები, მცირე ფერმერული მეურნეობები და სხვა ობიექტები), რომლებისთვისაც საჭიროა ავტონომური ელექტრო ენერჯით მომარაგების უზრუნველყოფა. სისტემა ისეა დამზადებული, რომ ელექტრო ხელსაწყოების, რომელთა სამუშაო ძაბვა მუდმივი 12 ვოლტია, ჩართვა ხდება უშუალოდ მართვის ბლოკის შესაბამის გამომყვანებთან. ამავე სისტემაში გათვალისწინებულია ძაბვის გარდაქმნა 220 ვოლტად. სისტემის კონსტრუქცია იძლევა საშუალებას ადვილად მოხდეს მისი დაშლა და აწყობა. დაშლილ მდგომარეობაში იგი თავსდება წყალგაუმტარ ჩანთაში, რომელიც მისი ადვილად ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა.